აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 22

08 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. პარტიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გასატარებლად განცხადებასთან ერთად, უმაღლეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს პარტიის რეგისტრაციის მოწმობა და წესდება, ასეთმა პარტიამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არჩევნებამდე არაუგვიანეს 35-ე დღისა (2008 წლის 9 ნოემბერი) უნდა წარმოადგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა არანაკლებ 3000 მხადამჭერთა ხელმოწერები. გარდა იმ პარტიებისა, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და/ან რეგისტრაცია გაიარა უმაღლეს საარჩევნო კომისიაში აჭარის ავტონომიური პესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის.

მუხლი 2. თუ არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საარჩევნო სუბიექტი არ მიმართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას განცხადებით სხვა ნომრის მინიჭების თაობაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებში მონაწილე ასეთ საარჩევნო სუბიექტს მიენიჭება ის რიგითი ნომერი, რომლითაც იგი მონაწილეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში.

მუხლი 3. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით რიგითი ნომრის განსაზღვრისას, საარჩევნო სუბიექტს არ მიენიჭება ის რიგითი ნომერი, რომლითაც საარჩევნო სუბიექტები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში უკვე მონაწილეობდნენ.

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია

.